

შპს ამწე

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2-3

სრული შემოსავლის ანგარიშგება

4-5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

6-7

განმარტებითი შენიშვნები

8-25

შპს ამწე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2018	1/1/2018
აქტივები			
ბრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,185,701	987,502
		3,185,701	987,502
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	83,860	28,065
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	987,085	367,821
მარაგები	7	1,998,847	1,327,825
სხვა მიმდინარე აქტივი		653	388
		3,070,445	1,724,100
მთლიანი აქტივები		6,256,146	2,711,601
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		7,100	7,100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,431,156	545,306
		1,438,256	552,406
ვალდებულებები			
ბრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	693,568	432,522
		693,568	432,522
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8,9	1,139,231	239,153
გადავადებული შემოსავალი	10	416,957	152,718
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	2,329,112	1,286,457
საგადასახადო ვალდებულებები	12	236,555	47,976
გადასახდელი პროცენტი		2,468	369
		4,124,322	1,726,673
მთლიანი ვალდებულებები		4,817,890	2,159,195
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,256,146	2,711,601

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 24 სექტემბერს
დირექტორი:

შპს ამწე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2018	1/1/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,185,701	987,502
		3,185,701	987,502
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	83,860	28,065
საგაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	987,085	367,821
მარაგები	7	1,998,847	1,327,825
სხვა მიმდინარე აქტივი		653	388
		3,070,445	1,724,100
მთლიანი აქტივები		6,256,146	2,711,601
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		7,100	7,100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,431,156	545,306
		1,438,256	552,406
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8	693,568	432,522
		693,568	432,522
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	8,9	1,139,231	239,153
გადავადებული შემოსავალი	10	416,957	152,718
საგაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	2,329,112	1,286,457
საგადასახადო ვალდებულებები	12	236,555	47,976
გადასახდელი პროცენტი		2,468	369
		4,124,322	1,726,673
მთლიანი ვალდებულებები		4,817,890	2,159,195
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,256,146	2,711,601

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელების მიერ 2019 წლის 24 სექტემბერს

დირექტორი:



შპს ამწე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		12/31/2018
ამონაგები	13	9,696,960
თვითღირებულება		(7,160,687)
საერთო მოგება		2,536,274
სხვა შემოსავლები	14	163
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(994,345)
მიწოდების დანახარჯები		(88,201)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	(131,074)
სხვა ხარჯები	16	(80,687)
საოპერაციო მოგება		1,242,131
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი	17	(277,746)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(277,746)
მოგება დაბეგვრამდე	18	964,385
მოგების გადასახადი		-
პერიოდის მოგება		964,385
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		964,385

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 24 სექტემბერს

დირექტორი:

შპს ამწე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		12/31/2018
ამონაგები	13	9,696,960
თვითღირებულება		(7,160,687)
საერთო მოგება		2,536,274
სხვა შემოსავლები	14	163
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(994,345)
მიწოდების დანახარჯები		(88,201)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	(131,074)
სხვა ხარჯები	16	(80,687)
საოპერაციო მოგება		1,242,131
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი	17	(277,746)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(277,746)
მოგება დაბეგვრამდე	18	964,385
მოგების გადასახადი		-
პერიოდის მოგება		964,385
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		964,385

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 24 სექტემბერს

დირექტორი:



შპს ამწე

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
	Share Capital and Share Premium	Revaluation Surplus	Retained Earnings	Total Equity
2018 წლის 01 იანვარი	7,100	-	605,358	552,406
მოგება წლის ბოლოს			964,385	964,385
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	964,385	964,385
გაცემული დივიდენდი			(78,535)	(78,535)
				-
2019 წლის 30 აპრილი	7,100	-	1,491,208	1,438,256

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 24 სექტემბერს

დირექტორი:

შპს ამწე

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
	Share Capital and Share Premium	Revaluation Surplus	Retained Earnings	Total Equity
2018 წლის 01 იანვარი	7,100	-	605,358	552,406
მოგება წლის ბოლოს			964,385	964,385
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	964,385	964,385
გაცემული დივიდენდი			(78,535)	(78,535)
				-
2018 წლის 30 აპრილი	7,100	-	1,491,208	1,438,256

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 24 სექტემბერს

დირექტორი:



1. ზოგადი ინფორმაცია

ამწე შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თელავის რაიონი, სოფ. წინანდალი, მე-15 ქ., N 11. საქმიანობის ძირითადი ადგილი არის გიორგი სააკაძის დაღმართი N26 . მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ამწეების, დგარებისა და მასთან დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაცია, აგრეთვე ამწეებისა და დგარების საოპერაციო იჯარით გადაცემა, მონტაჟისა და დემონტაჟის მომსახურება.

კომპანიის დირექტორია აკაკი ნარმანია

კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- 10/06/2016 – 29/01/2019 პერიოდში: აკაკი ნარმანია - 100%;
- 30/01/2019 - 01/08/2019 პერიოდში: აკაკი ნარმანია - 50%; შოთა ქობალია - 50%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის 15 მაისს გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას და შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება პარტნიორებზე მოგების განაწილებას.

მოგების გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაწეულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კატეგორიაში.

მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის. დივიდენდის გამოცხადების თარიღში ხორციელდება პარტნიორებზე დივიდენდის გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს სალდირებულად.

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები	10 პროცენტი
ოფისის აღჭურვილობა	25 პროცენტი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20-35 პროცენტი
სატრანსპორტო საშუალებები	15 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური 'ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა

და რეალიზაციითვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემულ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყოვნებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>
კურსი 2017 წლის 31 დეკემბერი	2.5922	3.1044
კურსი 2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება თვის ბოლო სამუშაო დღემდე.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს აშწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალ ლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ექვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

4. ძირითადი საშუალებები

	მინის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	ლიზინგით მიღებული მანქანა- დანადგარები	ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	საბრანსპორტო საშუალებები	ლიზინგით მიღებული საბრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2017	-	16,139	954,675	18,728	22,587	-	1,012,128
შემოსვლა	58,771	898,756	1,439,165	24,344	18,725	23,175	2,462,937
გადაფასება							
გასვლა	-				(9,150)		(9,150)
31 დეკემბერი 2018	58,771	914,895	2,393,840	43,072	32,162	23,175	3,465,915
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2017	-	(989)	(20,180)	(2,091)	(1,367)		(24,627)
პერიოდის ცვეთა	-	(65,179)	(180,894)	(7,694)	(2,048)	(1,295)	(257,110)
გაუფასურება	-						
გასვლა	-				1,522		1,522
31 დეკემბერი 2018	-	(66,167)	(201,074)	(9,785)	(1,893)	(1,295)	(280,214)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2017	-	15,150	934,495	16,637	21,220	-	987,502
31 დეკემბერი 2018	58,771	848,728	2,192,766	33,287	30,269	21,880	3,185,701

შპს აშწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: კლებადი ნაშთის მეთოდი
- 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული საბანკო იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 10).
- მანქანა-დანადგარების კლასში განცალკევებულად არის გამჟღავნებული ლიზინგით აღებული მანქანა დანადგარების ოდენობა

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები

მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები

2018	2017
-	100
83,000	
83,000	100

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2018	2017
860	27,965
860	27,965

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო

გადახდილი ავანსები

მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 19)

2018	2017
908,099	336,920
65,110	30,901
13,876	-
987,085	367,821

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 57702.04 ლარის ოდენობით (2017 წელს 7650 ლარი).

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მზა პროდუქცია

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2018	2017
1,991,210	1,323,598
7,637	4,227
1,998,847	1,327,825

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 5 564 066 ლარი (2017 წელს 2 436 323 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა (2017 წელს 0 ლარი) .

მარაგები მოიცავს მზა პროდუქციის ოდენობას (თვითღირებულება 704235 ლარი), რომელიც სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთულია იპოთეკით სს „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ (იპოთეკის ხელშეკრულება CAH00343800 ; 29 მარტი 2019 წელი)

8. ფინანსური იჯარის ვალდებულებები

გრძელვადიანი

ფინანსური იჯარის ვალდებულება

სულ გრძელვადიანი

2018	2017
693,568	432,522
693,568	432,522

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

მოკლევადიანი

ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი

654,420	194,351
---------	---------

სულ მოკლევადიანი

654,420	194,351
---------	---------

სულ ფინანსური იჯარის ვალდებულებები

1,347,988	626,873
-----------	---------

9. სესხები

მოკლევადიანი

დამფუძნებელი ფიზიკური პირებისგან სესხი

2018	2017
39,357	44,802

ფიზიკური პირისგან სესხი

2,617	-
-------	---

საბანკო სესხები

442,837	-
---------	---

სულ სესხები

484,811	44,802
---------	--------

მოკლევადიანი საბანკო სესხი არ არის უზრუნველყოფილი. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7%-ს.

საწარმოს მიერ დამფუძნებელი და არადამფუძნებელი ფიზიკური პირებისგან აღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 9%-ს.

2019 წლის 29 მარტს სს საქართველოს ბანკთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიას გახსნილი აქვს 100 000 ევროს (საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება) და 350 000 ევროს (რეფინანსირება-საქართველოს სალიზინგო კომპანია/ალიანს ლიზინგი/თიბისი ლიზინგი) მოცულობის გრძელვადიანი საკრედიტო ლიმიტი (წლიური 5.7%). ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე საწარმოს გამოყენებული აქვს 410 000 ევროს მოცულობის საკრედიტო ლიმიტი. აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულებების ფარგლებში ბანკის სასარგებლოდ დაგირავებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული მანქანა-დანადგარები. საწარმოს მიერ ათვისებული საკრედიტო ლიმიტი გამოყენებულ იქნა მიზნობრივად.

10. გადავადებული შემოსავალი

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული
გადავადებული შემოსავალი

2018	2017
416,957	152,718
416,957	152,718

გადავადებული შემოსავალი წარმოიშვა უკუიჯარის პირობით აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ იჯარას. გადავადებული შემოსავლის ამორტიზირებულმა ოდენობამ 2018 წელს შეადგინა 54 245 ლარი , (2017 წელს 0 ლარი).

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

მიღებული ავანსები

2018	2017
1,116,815	700,028
1,212,296	586,429
2,329,112	1,286,457

12. საგადასახადო ვალდებულებები

გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება

დამატებული ღირებულების გადასახადი

ქონების გადასახადი

2018	2017
13,752	3,873
217,985	44,103
4,818	-
236,555	47,976

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

13. ამონაგები

საქონლის რეალიზაცია

მომსახურებიდან მიღებული ამონაგები

2018
8,007,670
1,689,290
9,696,960

14. სხვა შემოსავალი

ძირითადი საშუალების გასხვისების შედეგად

მიღებული შემოსულობა -ნეტო

არასაოპერაციო მოგება

2018
-
163
163

15. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

2018
(131,074)
(131,074)

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

16. სხვა ხარჯები

საქველმოქმედო ხარჯი

ჯარიმები

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი

ძირითადი საშუალების გასხვისების შედეგად მიღებული შემოსულობა - ნეტო

კომპენსაცია

2018

(385)

(1,209)

(58,915)

(5,178)

(15,000)

(80,687)

17. ფინანსური დანახარჯები

ბანკის სესხის პროცენტი

ფინანსური იჯარის პროცენტი

დამფუძნებელი ფიზიკური პირის სესხები

არადამფუძნებელი ფიზიკური პირის სესხები

2018

(231,344)

(36,049)

(9,851)

(502)

(277,746)

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

18. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

	2018
საქონლის მიწოდებასთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი	(7,160,687)
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	(994,345)
მიწოდების ხარჯი	(88,201)
სხვა ხარჯი	(16,594)
	(8,259,826)

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმოს აკონტროლებს აკაკი ნარმანია და შოთა ქობალია, რომლებიც ფლობენ წილის 100%.

აკაკი ნარმანია და შოთა ქობალია ფლობენ 50% წილს სხვა საწარმოში (შპს სიესეს), რომლის აქციები საჯაროდ არ იყიდება. კომპანია სიესეს-ში ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირია შოთა ქობალია. კომპანია ამწემ 2018 წელს სიესესს მიაწოდა სამშენებლო უსაფრთხოების საქონელი ღირებულებით (დღგ-ს ჩათვლით) 28,056 ლარი და გაუწია იჯარის მომსახურება ღირებულებით (დღგ-ს ჩათვლით) 3520 ლარი

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაცია

2018
26,759
26,759

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 6)

დაკავშირებული მხარე (კომპანია სიესეს)

2018
13,876
13,876

მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი მისაღებია ეტაპობრივად, კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად. მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საექვო ვალების ანარიცხები არ არის აღიარებული (2017 წელი 0 ლარი).

20. ფინანსური იჯარის ვალდებულება

კომპანიას სამწლიანი ფინანსური იჯარით აღებული აქვს მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალება. მომავალში გადასახდელი მინიმალური საიჯარო გადასახდელები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულება -

მომავალი საიჯარო გადასახდელები

1 წელზე ნაკლები

1-დან 5 წლის ჩათვლით

5 წელზე მეტი

2018
1,008,997
1,000,294
-
2,009,291

საწარმომ 2019 წელს გამოისყიდა ფინანსური იჯარის ფარგლებში აღებული ძირითადი საშუალებების ნაწილი, შესაბამისად მისი საიჯარო გადასახდელები შემცირდა შემდეგნაირად:

1 წელზე ნაკლები - 677,179 ლარით, 1-დან 5 წლის ჩათვლით - 519,043 ლარით.

21. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ოფისი და სასაწყობო ბაზა. იჯარების საშუალო ვადა 2 წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივ იჯარით გათვალისწინებული

მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც
აღიარებულია ხარჯად

მიმდინარე წელს

2018
38846
38846

წლის ბოლოს კომპანიას არ გააჩნია ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებების დაუფარავი ნაშთები.

შპს აბჭე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

საოპერაციო იჯარის მთლიანი ვალდებულება -

მომავალი საიჯარო გადასახდელები

1 წელზე ნაკლები

1-დან 5 წლის ჩათვლით

5 წელზე მეტი

2018
72,100
62,160
-
134,260

22. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 7100 ლარს (2017 წელი- 7100 ლარი), რომელიც სრულად შევსებულია.

23. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება მთლიანად

2018
229,238
229,238

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:

შპს ამწე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

საოპერაციო იჯარის მთლიანი ვალდებულება -

მომავალი საიჯარო გადასახდელები

1 წელზე ნაკლები

1-დან 5 წლის ჩათვლით

5 წელზე მეტი

2018
72,100
62,160
-
134,260

22. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 7100 ლარს (2017 წელი- 7100 ლარი), რომელიც სრულად შევსებულია.

23. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება მთლიანად

2018
229,238
229,238

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 24 სექტემბერს.

დირექტორი:

